საჯარო სამართლის იურიდიული პირის — საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდება

დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 ივლისის N383 ბრძანებით, გამოქვეყნებულია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ 2005 წლის 1 აგვისტოს 89-ე ნომერში

თბილისი, 2007

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში ფონდი) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 17 ივლისის N653 ბრძანებულებით. *(25.10.2006 N197)*

2. ფონდი თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, "მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონით, საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და ამ წესდებით. *(25.10.2006 N197)*

3. ფონდს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საკუთარი საბანკო ანგარიში და ბეჭედი.

4. ფონდის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი 0102, უზნაძის ქუჩა N68.

მუხლი 2. ფონდის მიზნები და ამოცანები

1. ფონდის ძირითადი მიზანია დაფინანსების გზით ხელი შეუწყოს საქარ-თველოში მეცნიერების განვითარებას. *(25.10.2006 N197)*

2. ფონდის ამოცანებია:

ა) სამეცნიერო გრანტების გაცემის საშუალებით ხელი შეუწყოს ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო ტექნოლოგიური კვლევების განხორციელებას; *(25.10.2006 N197)*

ბ) უზრუნველყოს საქართველოში არსებული სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოტენციალის შესახებ მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და ანალიზი, მოამზადოს წინადადებები მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ეროვნული პრიორიტეტების განსახორციელებლად;

გ) ხელი შეუწყოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლას საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების სამეცნიერო წრეებს შორის, საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა მონაწილეობას საერთაშორისო პროგრამებში, კონფერენციებსა და შეხვედრებში; *(25.10.2006 N197)*

დ) მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო კვლევათა და ტექნოლოგიური განვითარების სფეროში თანამშრომლობის შესახებ მთავრობათაშორის, უწყებათაშორის შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა პროექტების მომზადებაში; *(25.10.2006 N197)*

ე) მოაწყოს სამეცნიერო კონფერენციები, სემინარები და სიმპოზიუმები, გამოაცხადოს კონკურსები სხვადასხვა სახის გრანტებისა და პრემიების მოსაპოვებლად; *(25.10.2006 N197)*

ვ) პოპულარიზაცია გაუწიოს სამეცნიერო კვლევებს. *(25.10.2006 N197)*

ზ) ამოღებულია *(25.10.2006 N197)*

3. დასახულ ამოცანათა გადასაწყვეტად ფონდი:

ა) საკონკურსო საფუძველზე ახორციელებს: *(25.10.2006 N197)*

ა.ა) სამეცნიერო კვლევითი პროექტების შერჩევას დასაფინანსებლად იმ მიმართულებათა შესაბამისად, რომლებიც ცხადდება პრიორიტეტულად;

ა.ბ) პროექტების შერჩევას სხვადასხვა სახის გრანტების, მათ შორის მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეო-

ბის მისაღებად მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტების მოსაპოვებლად;

ბ) ხელს უწყობს პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების განვითარებას მათი პროდუქციის წარმოებაში დანერგვის მიზნით, აგრეთვე აღიარებული საბაზო ტექნოლოგიების გამოყენებას საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევების წარმოებაში დანერგვისა და ქვეყნის საექსპორტო პოტენ-ციალის გაზრდის მიზნით;

გ) ხელს უწყობს ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამუშავებისა და დანერგვის პროცესს, ქვეყნის ერთიანი საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცის ფორმირებასა და მსოფლიოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში მის ინტეგრირებას;

დ) ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ აწყობს სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარების სფეროში მიღწევათა გამოფენებს, სემინარებს, კონგრესებს, სიმპოზიუმებსა და სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს; მონაწილეობას იღებს პარტნიორი ქვეყნების ანალოგიური ხასიათის ღონისძიებებში. ხელს უწყობს მეცნიერთა გაცვლის პროცესს, ამყარებს საქმიან კონტაქტებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხო ქვეყნების შესაბამის სახელმწიფო და არასახელ-მწიფო სტრუქტურებთან;

ე) რეკომენდაციას უწევს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში;

ვ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოებს მოლაპარაკებას და დებს ხელშეკრულებებს საქართველოსა და უცხო ქვეყნების იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან;

ზ) ანიჭებს პრემიებს მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში განსაკუთრებული მიღწევებისა და წვლილისათვის;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 3. ფონდის მართვა *(25.10.2006 N197)*

1. ფონდის მართვის ორგანოები არიან:

ა) დირექტორი;

ბ) სამეცნიერო საბჭო.

2. ფონდის მართვის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით.

მუხლი 4. ფონდის სამეცნიერო საბჭო *(25.10.2006 N197)*

1. ფონდის მართვის უმაღლესი ორგანოა სამეცნიერო საბჭო, რომელიც შედგება 15 წევრისაგან.

2. სამეცნიერო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადაა 3 წელი.

3. სამეცნიერო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) გარდაცვალება;

გ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;

დ) სასამართლოს მიერ მისი ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;

ე) დაკისრებულ მოვალეობათა სისტემატური შეუსრულებლობა;

ვ) კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევები.

4. სამეცნიერო საბჭო:

ა) ზედამხედველობას უწევს ფონდის საქმიანობას;

ბ) ამტკიცებს ფონდის ბიუჯეტსა და მისი შესრულების ანგარიშს;

გ) განსაზღვრავს ფონდის მუშაობის პრიორიტეტულ მიმართულებებს და იღებს რეკომენდაციას კონკურსის გამოცხადების შესახებ;

დ) საქართველოს მთავრობას წარუდგენს ფონდის მუშაობის ყოველწლიურ ანგარიშს;

ე) ამტკიცებს დასაფინანსებლად შერჩეულ საგრანტო პროექტებს;

ვ) სამეცნიერო საგრანტო პროექტის ამოცანების შეუსრულებლობის შემთხვევაში იღებს სამეცნიერო საგრანტო პროექტის დაფინანსების შეჩერების ან შეწყვეტის გადაწყვეტილებას. სამეცნიერო საგრანტო პროექტის დაფინანსების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება ის პირობები, რომელთა შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია დაფინანსების განახლება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში პროექტის დაფინანსების შეწყვეტა. სამეცნიერო საგრანტო პროექტის შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილებაში საბჭო განსაზღვრავს, არის თუ არა დირექტორი უფლებამოსილი კონკრეტული პირობის შესრულების შემთხვევაში საბჭოს თან-ხმობის გარეშე განაახლოს მისი დაფინანსება.

5. სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის მინიმუმ 2/3 არიან მეცნიერები.

6. სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის 1/3 განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების კვოტით, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისათვის ერთი კვოტით.

7. საბჭოს შემადგენლობის 1/3 განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვოტით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე შემუშავებული წესის შესაბამისად.

8. საბჭოს შემადგენლობის 1/3 განისაზღვრება საქართველოს მთავრობის კვოტით, რომელსაც საქართველოს მთავრობას წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

9. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

10. საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარი მაინც. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით.

11. საბჭოს სხდომებს უძღვება საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა საბჭოს წევრთაგან საკუთარი უფლებამოსილების ვადით საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

12. საბჭოს სხდომებს ესწრება ფონდის დირექტორი სათათბირო ხმის უფლებით.

13. საბჭოს ყოველ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება; ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

14. საბჭო იკრიბება წელიწადში 4-ჯერ მაინც, რაც განისაზღვრება საბჭოს მიერ დადგენილი რეგლამენტის შესაბამისად. საბჭოს რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნეს ფონდის დირექტორის, საბჭოს თავმჯდომარის ან საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობის წერილობითი განცხადების საფუძველზე განცხადების რეგისტრაციიდან ერთი თვის განმავლობაში.

მუხლი 5. ფონდის დირექტორი *(25.10.2006 N197)*

1. ფონდის წარმომადგენლობისათვის უფლებამოსილი პირია და მის საქმიანობას ხელმძღვანელობს ფონდის დირექტორი, რომელსაც 4 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. დირექტორის კანდიდატურის შერჩევა ხორციელდება ღია კონკურსის საფუძველზე. კანდიდატურას არჩევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია. კონკურსის მოწყობის თარიღსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი კონკურსის გამართვამდე სულ ბევრი 15 დღით ადრე. შერჩეულ კანდიდატს 10 დღეში წარუდგენენ საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

3. ფონდის დირექტორი:

ა) მოქმედებს ფონდის სახელით და სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობებში;

ბ) აცხადებს საგრანტო კონკურსებს;

გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს სტიპენდიების, ჰონორარების, პრემიების მინიჭების წესს, აცხადებს კონკურსებს;

დ) ადგენს საგრანტო კონკურსის გამართვისა და საგრანტო განაცხადების მიღების ვადებს, ამტკიცებს საგრანტო პროექტის შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშის ფორმებს, დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად ექსპერტთა მიერ პროექტების შეფასების წარმოდგენის ფორმასა და შევსების წესს; საბჭოს მიერ შესაბამისი უფლების მინიჭების

შემთხვევაში შეჩერებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის პირობის შესრულების შემდეგ განაახლებს სამეცნიერო საგრანტო პროექტის დაფინანსებას, ხოლო პირობის შეუსრულებლობის, აგრეთვე პროექტის ხელმძღვანელის ინიციატივის არსებობის შემთხვევაში იწვევს საბჭოს პროექტის საგრანტო დაფინანსების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად;

ე) სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით ნიშნავს დირექტორის მოადგილეს, რომელიც მისი არყოფნის შემთხვევაში ასრულებს დირექტორის მოვალეობას;

ვ) ანაწილებს სამუშაოს ფონდის თანამშრო-მელთა შორის;

ზ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგავს ფონდის სახსრებსა და რესურსებს;

თ) ფონდის ბიუჯეტის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს ფონდის საშტატო ნუსხას, ადგენს ფონდის აპარატის თანამშრომელთა ანაზღაურების ოდენობებსა და პირობებს;

ი) კონკურსის წესით სამსახურში იწვევს ფონდის თანამშრომლებს;

კ) საბჭოს წარუდგენს ფონდის მუშაობისა და ბიუჯეტის შესრულების ყოველწლიურ ანგარიშს;

ლ) აქვეყნებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების შესახებ მონაცემებს;

მ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად ახორცი-

ელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. დირექტორს ვადაზე ადრე უწყდება უფლებამოსილება:

ა) პირადი სურვილით;

ბ) გარდაცვალების შემთხვევაში;

გ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლისას;

დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შემთხვევაში;

ე) კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

5. დირექტორი პასუხისმგებელია ფონდის საქმიანობის კანონიერების, ეფექტიანობისა და მიზანშეწონილობისათვის.

მუხლი 6. ფონდის სტრუქტურა *(25.10.2006 N197)*

1. ფონდის სტრუქტურა ყალიბდება ფონდის ამოცანების, ფუნქციებისა და შესაძლო დაფინანსების შესაბამისად.

2. ფონდის სტრუქტურას განსაზღვრავს და ამტკიცებს ფონდის დირექტორი სამეცნიერო საბჭოს თანხმობით.”.

მუხლი 7. ფონდის ფინანსები *(25.10.2006 N197)*

1. ფონდის სახსრები იქმნება:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრებით;

ბ) საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციებისა და სამეცნიერო ფონდების სახ-

სრების მოზიდვით, ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო პროგრამებიდან მიღებული გრანტებით;

გ) საქველმოქმედო შემოწირულობებით, ფიზიკური და იურიდიული პირების ნებაყოფლობითი შენატანებით;

დ) ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოს შესრულების შედეგად მიღებული შემოსავლებით;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სახსრები და შემოსავლები მთლიანად ხმარდება ფონდის მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. ფონდის სახსრების სხვა მიზნით გამოყენება აკრძალულია.

3. ფონდი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს თავისი საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა ანგარიშდება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.”.

მუხლი 8. ფონდის ქონება *(25.10.2006 N197)*

ფონდს თავისი უფლებამოსილებების განსახორციელებლად გადაეცემა სახელმწიფო ქონება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. სახელმწიფო კონტროლი

1. ფონდის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

2. სამინისტროს თანხმობით ფონდი უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი მოქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) საშტატო ნუსხისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) სხვა გადაწყვეტილებები ფონდის ქონების თაობაზე, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოქმედებათა განსახორციელებლად საჭიროა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

4. ფონდს უფლება არა აქვს მიღებული სახელმწიფო ქონება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სარგებლობის უფლე-ბით გადასცეს (კერძოდ, გააქირაოს, იჯარის, თხოვების ფორმით გადასცეს), დააგირაოს, იპოთეკით ან სხვაგვარად დატვირთოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოსთან (მესაკუთრესთან) შეუთანხმებლად. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლაპატრონობისა და დაცვისათვის. *(25.10.2006 N197)*

მუხლი 10. ფონდის წესდებაში ცვლილების შეტანა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ფონდის წესდებაში ცვლილების შეტანა, რეორგანი-ზაცია და ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ფონდის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება სრულად გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში.